



## საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 061/14<sup>1</sup> გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

*სტუდენტი სალომე აბულაძე*

### **ფაქტები**

ადვოკატი დაესწრო ბრალდებულის დაკითხვას და მონაწილეობა მიიღო სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარებულ საგამომიებო ექსპერიმენტში.

ადვოკატს ბრალდებულთან და მისი ოჯახის წევრებთან საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება არ გაუფორმებია. ადვოკატს 2014 წლის 20 ივლისს გამთენიისას 04:05 სთ-ზე ბინის ნომერზე დაუკავშირდა პოლიცია და მათი მიწვევით გამოცხადდა პოლიციის განყოფილებაში, სადაც ჩაერთო ბრალდებულის საქმეში ადვოკატად. ბრალდებულს იცავდა მეორე ადვოკატი, რომელსაც დაკავებულის მამამ მიმართა შვილის დასაცავად. პირველი ადვოკატისთვის ცნობილი იყო ის გარემოება, რომ ბრალდებულს ჰყავდა შეთანხმებით აყვანილი ადვოკატი. პირველმა ადვოკატმა ბრალდებულის დაკითხვის ოქმზე ხელი მოაწერა მაშინ, როდესაც დაკითხვა ღამის საათებში 04:00 სთ-დან 08:00 სთ-მდე ჩატარდა.

### **პროცესუალური ისტორია**

ეთიკის კომისიაში ბრალდებულის მამამ შეიტანა საჩივარი პირველი ადვოკატისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების მოთხოვნით. საპროცესო კოლეგიამ აღძრა დისციპლინური დევნა ადვოკატის მიმართ „ადვოკატის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის, მე-3 მუხლის, მე-8 მუხლის პირველი, მეორე და მეხუთე ნაწილების შესაძლო დარღვევის ფაქტზე.

### **სამართლებრივი შეფასება**

ადვოკატმა დაარღვია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ვალდებულება - კლიენტის ან მისი ოჯახის წევრების ნებართვით და მათთან შეთანხმებული წესით დაეწყო ბრალდებულის დაცვა და მონაწილეობა მიიღო საგამომიებო მოქმედებაში. ადვოკატმა, ასევე, დაარღვია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მეორე ნაწილი, რომლის მიხედვითაც ადვოკატმა საქმე უნდა აწარმოოს კლიენტის, მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის ან შესაბამისი ორგანოს მიერ დანიშნული კომპეტენტური პირის მითითებით, სავალდებულო დაცვის შემთხვევაში. მოცემულ შემთხვევაში ადვოკატმა საგამომიებო მოქმედებაში მონაწილეობა ბრალდების მხარის თხოვნითა და ინიციატივით მიიღო, რითაც დაარღვია საადვოკატო საქმიანობის ფუნდამენტური პრინციპი - ადვოკატის პროფესიული დამოუკიდებლობისა და სხვადასხვა პირთა ნების სასარგებლოდ, ადვოკატის პროფესიული ვალდებულებების განხორციელებისას კომპრომისის დაუშვებლობის შესახებ. შესაბამისად, მას არ წარმოშობია კანონით გათვალისწინებული უფლება დაეცვა ბრალდებულის ინტერესები სისხლის სამართლის საქმეზე.

გარდა ამისა, ადვოკატმა დაარღვია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილით დადგენილი ვალდებულება, რომლის მიხედვით, ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა განახორციელოს წარმომადგენლობა. კომისიის შეფასებით, ადვოკატსა

<sup>1</sup> ეთიკის კომისიის 2016 წლის 29 მარტის გადაწყვეტილება  
[https://gba.ge/pdf/5c653155c1a52.pdf/061\\_14\\_29.03.2016.pdf](https://gba.ge/pdf/5c653155c1a52.pdf/061_14_29.03.2016.pdf)



და კლიენტს შორის ურთიერთობაში უმთავრესი პრინციპია ადვოკატის მიერ კლიენტისადმი ერთგულების მოვალეობა. კლიენტის ინტერესები ადვოკატის პირად ინტერესებზე ან სხვა პირად ინტერესებზე მაღლა უნდა განიხილებოდეს. ადვოკატმა დაცვის უფლების განხორციელებისას უნდა გამოიყენოს ყველა გონივრული შესაძლებლობა კლიენტის უფლებების სათანადო დაცვისათვის, რაც ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობისას სისხლის სამართლის საქმეზე, კლიენტისაგან ინფორმაციის მიწოდებითა და შემდგომი ქმედებების განხორციელების თაობაზე უფლებამოსულების მიღებით გამოიხატება. ადვოკატი ვალდებულია დაცვის პოზიცია და ტაქტიკა კლიენტს შეუთანხმოს, რაც მოცემულ შემთხვევაში არ მომხდარა. ასევე ადვოკატს არ მიუღია კლიენტისგან ინფორმაცია სისხლის სამართლის საქმის შესახებ და არც საქმის მასალებს გაცნობია. გარდა ამისა, ადვოკატმა საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობა მიიღო იმ პირობებში, რომ ოჯახთან ან დაცვის ქვეშ მყოფ პირთან კომუნიკაცია არ ჰქონია. ადვოკატის განმარტება, რომ შემთხვევის ადგილზე მისვლისას აცნობა დაკავებულს საქმეში მისი ადვოკატად ჩართვისა და საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობის შესახებ, არ შეიძლება მიჩნეული იქნეს კლიენტთან შეთანხმების საფუძველზე დაცვის განხორციელებად. ადვოკატი ბრალდების მხარის თხოვნით ჩაერთო საქმეში და მხოლოდ ამის შემდეგ აცნობა დაკავებულს, ასევე კლიენტის ნებართვის გარეშე გამოწერა ორდერი, შესაბამისად, საადვოკატო უფლებამოსილების განხორციელების შესახებ ინფორმაციის მიწოდება კლიენტისათვის დაგვიანებული იყო. აგრეთვე, ბრალდებულის დაკითხვის ოქმით დგინდება, რომ ბრალდებული დაიკითხა 04:00 სთ-დან 08:00 სთ-მდე. ბრალდებულის დაკითხვის ოქმს ხელი მოაწერა ადვოკატმა, რომელსაც არ უნდა მოეწერა ხელი ან დაეფიქსირებინა შენიშვნა, ვინაიდან საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 111-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, საგამოძიებო მოქმედების ღამით ჩატარება დაუშვებელია. აღნიშნული ხაზს უსვამს ადვოკატის მიერ გაწეული მომსახურების არაკვალიფიციურობას და არაკეთილსინდისიერებას.

### დასკვნა

ადვოკატმა დაარღვია „ადვოკატის შესახებ“ საქართველოს კანონის 5(ა,ბ) მუხლი, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 2.1, 3, 8.1, 8.2, 8.5 მუხლები. ადვოკატის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვრა გაფრთხილება.